<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით მისი სუბსიდირება და არსებული ავტოპარკის განახლება.</p> <p>პროგრამა პასუხობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალიტეტის ლოკალიზების გეგმის შემდეგი ამოცანის შესრულებას:</p> <p>11.2 2030 წლისათვის უსაფრთხო, ფინანსურად ხელმისაწვდომი და მდგრადი სატრანსპორტო სისტემის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასათვის, კერძოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაფართოების საშუალებით, განსაკუთრებული ყურადღების დათმობით მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებისათვის, ქალები, ბავშვები, შშმ და მოხუცები</p>
<p>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება და უზრუნველყოფილია მგზავრთა რეგულარული და შეუფერხებელი გადაყვანები</p>

დ.ა) მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
020401			1820.0
	<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p>	
	<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>არსებულ ეტაპზე მუნიციპალიტეტის ავტოპარკის ბალანსზე არის 21 სატრანსპორტო საშუალება (მ.შ. 17 ავტობუსი და 4 მიკროავტობუსი). ამჟამად შ.პ.ს. "მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი" 19 მარშრუტზე ემსახურება 45 სოფელს. წლის განმავლობაში გადავანილ მგზავრთა რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 1 160 000 მგზავრს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით მისი სუბსიდირება.</p>	



მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალური ტრანსპორტი მუშაობს გამართულად, რეისები ხორციელდება შეუფერხებლად
------------------------------	--

დ.ბ) მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
020402			412,2
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება	
	ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი		განახლებულია მუნიციპალიტეტის ავტოპარკი	

ე) კეთილმოწყობა

კოდი	პროგრამის დასახელება	კეთილმოწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
0207			3564.8



<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>მუნიციპალიტეტში არის 20 რეკრიაციული ზონა ;</p> <p>პროგრამა პასუხობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალიტეტის ლოკალიზების გეგმის შემდეგი ამოცანების შესრულებას:</p> <p>11.1 2030 წლისთვის ყველასთვის ადექვატური, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საცხოვრისისა და ძირითადი სერვისების უზრუნველყოფა და დაზიანებული საცხოვრისების განახლება</p> <p>11.7 2030 წლისთვის შეიქმნას უსაფრთხო, ინკლუზიური და ხელმისაწვდომი მწვანე და საჯარო სივრცეები, განსაკუთრებით ქალებისთვის და ბავშვებისთვის, მოხუცებისთვის და შშმ პირებისთვის</p>
<p>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საზოგადოებრივი დანიშნულების ღია სივრცეები და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი გარემო პირობები დასვენებისა და გართობისთვის</p>

ე.ა) საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა–რეაბილიტაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა–რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
020701			2652.5
<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა 2025 წლებში მოხდება არსებული სკვერების რეაბილიტაცია საჭიროების მიხედვით და ასევე სოფლებში ახალი სკვერების მოწყობა მოსახლეობისათვის დასვენების ადგილების უზრუნველსაყოფად</p>		



<p>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>მოწყობილია ღია დასასვენებელი სივრცეები და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის პარკებსა და სკვერებში შექმნილია დასვენებისა და გართობისთვის პირობები</p>

ე.ბ) მრავალსართულიანი შენობების ფასადების რეაბილიტაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მრავალსართულიანი შენობების ფასადების რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
020702			699.5
<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა;</p> <p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადური რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების მიზნით</p>		
<p>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის იერსახე გაუმჯობესებულია</p>		

ე.გ) სადღესასწაულო ღონისძიებები

კოდი			2025 წლის დაფინანსება ათას ლარში



	ქვეპროგრამის დასახელება	სადღესასწაულო ღონისძიებები	
020703			212.8
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება	
	ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სადღესასწაულო დღეებში მუნიციპალიტეტის ქუჩების და ადმინისტრაციული შენობების მორთვა, გალამაზება და მისალოცი ბანერების განთავსება.	
	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაუმჯობესებულია მუნიციპალიტეტის იერსახე სადღესასწაულო დღეებში	

გ) სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა

კოდი	პროგრამის დასახელება	სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
0208			0,0



პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სასაფლაოების მოვლა-შენახვა
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოვლილი სასაფლაოები

ზ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები

კოდი	პროგრამის დასახელება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
0209			2504.5
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიღებული სახელმწიფო ტრანსფერით და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, მოსახლეობასთან კონსულტაციებით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება.</p> <p>1 232 000 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის №53 განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერი .</p> <p>პროექტების თანადაფინანსების სახით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 1500,000 ლარი.</p> <p>2025 წლის სოფლის პროექტების ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების ჩათვლით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გარე განათების მოწყობა - 18 სოფელი, ჯამური თანხა 706 000 ლარი 2. მოსაცდელის მოწყობა - 1 სოფელი, ჯამური თანხა 26 000 ლარი 3. ნაპირსამაგრი სამუშაოები - 1 სოფელი, ჯამური თანხა 36 000 ლარი 4. საზოგადოებრივი თავშეყრის შენობის რეკონსტრუქცია - 1 სოფელი, ჯამური თანხა 48 000 ლარი 5. სანიაღვრე არხის და სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია - 1 სოფელი, ჯამური თანხა 35 000 ლარი 6. სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - 3 სოფელი, ჯამური თანხა 113 500 ლარი 7. სარწყავი არხის რეაბილიტაცია - 6 სოფელი, ჯამური თანხა 200 000 ლარი 8. სასაფლაოს კეთილმოწყობა - 7 სოფელი, ჯამური თანხა 183 000 ლარი 9. სასმელი წყლის ავზის მოწყობა - 1 სოფელი, ჯამური თანხა 18 000 ლარი 10. სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 2 სოფელი, ჯამური თანხა 93 000 ლარი 11. სკვერის მოწყობა - 13 სოფელი, ჯამური თანხა 544 000 ლარი 12. სკოლამდელი დაწესებულების რეაბილიტაცია - 1 სოფელი, ჯამური თანხა 36 000 ლარი 13. სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა - 1 სოფელი, ჯამური თანხა 22 000 ლარი 14. სპორტული მოედნის შემოღობვა - 3 სოფელი, ჯამური თანხა 132 000 ლარი 15. ტრენაჟორების მოწყობა - 2 სოფელი, ჯამური თანხა 101 000 ლარი 16. ფანჩატურის მოწყობა - 2 სოფელი, ჯამური თანხა 44 500 ლარი 17. ხიდის რეაბილიტაცია - 2 სოფელი, ჯამური თანხა 53 000 ლარი 18. გზების მოხრეშვა - 5 სოფელი, ჯამური თანხა 116 000 ლარი 19. გზის ბეტონით მოწყობის სამუშაოები - 7 სოფელი, ჯამური თანხა 225 000 ლარი 		



<p>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>შერჩეული პროექტები განხორციელებულია დროულად და ხარისხიანად.</p>

1. გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია გარემოს დაცვა, რაც თავის თავში მოიცავს მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობას, კაპიტალურ დაბანდებებს დასუფთავების სფეროში. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს სუბსიდირება.

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
0301	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	4610.0	2720.0	2720.0	2820.0
030101	მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	4120.0	2400.0	2400.0	2500.0
030102	ნარჩენების გადამამუშავება	420.0	270.0	270.0	270.0
030103	გარემოს დაცვითი სხვა ღონისძიებები	70.0	50.0	50.0	50.0
0302	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	775.0	375.0	375.0	375.0
0303	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	724.9	200.0	0.0	0.0
	სულ პრიორიტეტი	6109.9	3295.0	3095.0	3195.0

ა) დასუფთავება და ნარჩენების მართვა



კოდი	პროგრამის დასახელება	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
0301			4610.0
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება	
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ქალაქის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება; დღეს არსებული სიტუაციით სულ მუნიციპალიტეტში სუფთავდება 170713 კვმ ფართობი, დასუფთავების სერვისით მთელი მუნიციპალიტეტის მოცვისთვის საჭიროა დამატებითი ურნების და ნაგვის მანქანების შესყიდვა.</p> <p>პროგრამა პასუხობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალიტეტის ლოკალიზების გეგმის შემდეგი ამოცანის შესრულებას:</p> <p>11.6 2030 წლისთვის მუნიციპალიტეტში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის, მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობით</p>	
პროგრამის საბოლოო შედეგი		შექმნილია პირობები მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და უზრუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება	

ა.ა) მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
030101			4120.0
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც		მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება	



ემსახურება პროგრამა	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დახვეტას, ნაგვის ურნებში განთავსებას და ნარჩენების გატანას. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტს ემსახურება 35(54 ნორმით) მეეზოვე, რომელიც ყველდღიურად ასუფთავებს 170713 კვმ ფართობს. დგას 779 ურნა. მიუხედავად აღნიშნულისა მუნიციპალიტეტში დარჩენილია ისეთი ადგილები რომელიც დღეის მდგომარეობით არ სუფთავდება რადგან არ არის შესაბამისი ტექნიკა და ნაგვის ურნები. ჩვენი მიზანია ნელ ნელა სრულად მიეწოდოს მოსახლეობას აღნიშნული სერვისი.
ქვეპროგრამის შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება

ა.ბ) ნარჩენების გადამუშავება

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ნარჩენების გადამუშავება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
030102			420.0
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება	ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შ.პ.ს. „მარნეულის ორგანიზაციის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს სუბსიდირება, ნაგავსაყრელის სრული დატვირთვით მუშაობის უზრუნველსაყოფად, რაც აუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას	ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში დასუფთავების სერვისის მიერ შეგროვილი ნაგვის გადამუშავება და დამატებითი შემოსავლების მოზილიზება



ა.გ) გარემოს დაცვითი სხვა ღონისძიებები

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარემოს დაცვითი სხვა ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
030103			70.0
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება	
	ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქალაქში არსებული მდგომარეობით მრავლადაა ქუჩის ძაღლები და არსებული ფაქტებით მათგან დაფიქსირდა ადამიანისათვის საშიში დაავადების მატარებელი შინაურ ცხოველთა არსებობაც, აღნიშნული ქვეპროგრამის მიზანია ქალაქში არსებული ყველა უმეტესაწესრიგად დარჩენილი ქუჩის ძაღლის მონიტორინგი, მათი სტერილიზაციის, ასევე მათგან დაავადებული ძაღლების საჭიროების შემთხვევაში ევთანაზიის და ცხოველთა სამარხში გადაყვანის მომსახურება, ასევე ნაწილი მათგანის ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანა შესაბამისი სტანდარტების დაცვით.	
	ქვეპროგრამის შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვა და გადამდები დაავადებების რისკის შემცირება	

ბ) მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
0302			775.0



<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი ხეების, ყვავილების და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა. არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა პატრონობა. ხეების გადაბეღვა და შეთეთრება, რათა შენარჩუნებული იქნეს და გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის მწვანე საფარი.</p>
<p>ქვეპროგრამის შუალედური შედეგი</p>	<p>უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის გამწვანება და არსებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა</p>

გ) კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში

კოდი	პროგრამის დასახელება	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
0303			724,9
<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამა გულისხმობს ნაგავმზიდი მანქანების და ნაგვის კონტეინერების შეძენას, რათა ნელნელა სრულად მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ათვისება როგორც ნარჩენების ურნების განაწილებით ასევე ნარჩენების გამოტანა მოხდეს დროულად და შესაბამისი ინტენსივობით, 2023 წელს მოხდა 4 ერთეული ნაგავმზიდის შეძენა ხოლო ანაზღაურების ნაწილი გათვალისწინებულია 2025 წელს</p>		



პროგრამის საბოლოო შედეგი ახალი ურნების და ნაგავმზიდი მანქანების შექმნით უზრუნველყოფილია ნარჩენების დროული გატანა

2. განათლება (კოდი 0400)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია. ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლი მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	8927.4	7000.0	7000.0	7000.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	368.3	1010.0	1050.0	0.0
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	3130.9	72.0	72.0	72.0
040301	პედაგოგთა დახმარება	72.0	72.0	72.0	72.0
04 03 02	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება	1973.6	0.0	0.0	0.0
04 03 03	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები	1085.4	0.0	0.0	0.0
	სულ პრიორიტეტი	12426.7	8082.0	8122.0	7072.0

ა) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 01			8927.4
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის	
		მუნიციპალიტეტში სულ 3000 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული, ტერიტორიაზე განთავსებულ 14 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 2749 ბავშვის	



<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>სწავლება, მათ შორის 1161 გოგო, 1373 ბიჭი. ხოლო 251 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ააიპ "საბავშვო ბაღების გაერთიანება". სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 350 თანამშრომელი, მათ შორის 68 აღმზრდელი და 68 თანამშემწე. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ზაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ზაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.</p> <p>პროგრამა პასუხობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალიტეტის ლოკალიზების გეგმის შემდეგი ამოცანის შესრულებას:</p> <p>4.2 2030 წლისთვის ყველა გოგონასა და ბიჭისთვის ადრეულ ასაკში განვითარებისა და ზრუნვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რათა ისინი მზად იყვნენ სკოლამდელი განათლებისათვის</p>
<p>პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის სფეროს თანაბარი ხელმისაწვდომობა 2-დან 6 წლამდე ბავშვებისთვის და ხელშეწყობილია სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მისაღებად.</p>

ბ) სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 02			368.3
	<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის</p> <p>მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა</p>	
	<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლამდელი დაწესებულებების მცირე რეაბილიტაცია უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით</p>	
	<p>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>სკოლამდელი ასაკის ბავშვების სააღმზრდელო ადგილებით უზრუნველყოფა</p>	

გ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა

კოდი	პროგრამის დასახელება	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 03			3130.9



<p>გეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამა ითვალისწინებს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების წახალისების წესი“ საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვან სკოლებში ქართულის როგორც მეორე ენის საგნობრივი პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლების დაფინანსებას. ასევე პროგრამით 2025 წელსაც განხორციელდება დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებები.</p>
<p>პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>საჯარო სკოლებში კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნა.</p>

გ.ა) პედაგოგთა დახმარება

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პედაგოგთა დახმარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 03 01			72,0
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების წახალისების წესი“ საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვან სკოლებში ქართულის როგორც მეორე ენის საგნობრივი პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლების დაფინანსებას ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, წლის განმავლობაში 10 (ათი) თვე (გარდა ივლისისა და აგვისტოსი) და სხვა ღონისძიებების განხორციელებას.</p>		



<p>ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>ქვეპროგრამა ხელს უწყობს „ქართულის როგორც მეორე ენის“ სასწავლო პროგრამის განხორციელებას</p>
---	---

გ.ბ) საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება

<p>კოდი</p>	<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება</p>	<p>2025 წლის დაფინანსება ათას ლარში</p>
<p>04 03 02</p>			<p>1973.6</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხელშეკრულებით დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებას.</p>		
<p>ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>მოსწავლეთა დროული და უსაფრთხო ტრანსპორტირება სკოლებში</p>		

გ.გ) საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები

<p>კოდი</p>	<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები</p>	<p>2025 წლის დაფინანსება ათას ლარში</p>
--------------------	---------------------------------------	--	--



04 03 03		1085.4
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ხელშეკრულებით დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირებას, საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს და საჯარო სკოლების გაზიფიცირება/საწვავის/ბრიკეტების/შემის შესყიდვას.	
პროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საჯარო სკოლებში კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნა.	

3. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ.

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	5998.9	8448.0	9278.0	6381.0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	3623.0	3623.0	3623.0	3623.0
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	1164.0	1110.0	1110.0	1110.0



05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1211.9	3715.0	4545.0	1648.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3752.3	6698.0	4738.6	4064.3
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2801.3	2771.3	2771.3	2771.3
05 02 02	კულტურის სფეროს ღონისძიებები	531.0	460.0	460.0	460.0
05 02 03	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.0	3046.7	1087.3	413.0
05 02 04	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	420.0	420.0	420.0	420.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	110.0	110.0	110.0	110.0
05 04	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	221.6	200.0	200.0	200.0
	სულ პრიორიტეტი	10082.8	15456.0	14326.6	10755.3

ა) სპორტის სფეროს განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	სპორტის სფეროს განვითარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01		5998.9	
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის</p> <p>მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა</p> <p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p> <p>მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებულებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე</p>	
	პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2025 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება: სპორტული სკოლა, რომელიც</p>	



აერთიანებს დაახლოებით 1400 სპორტსმენს; პროგრამის ფარგლებში მოხდება სპორტული ობიექტების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია;

<p>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება;</p>
--	--

ა.ა) სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01			3623.0
<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 10: შემცირებული უთანასწორობა</p> <p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p> <p>მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>აიპ "მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა" - უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას 17 სპორტის სახეობის მიმართულებით, 26 სპორტულ ობიექტზე, 58 ჯგუფის და 64 მწვრთნელის (მათ შორის 6 ქალი) მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (3 დან - 25 წლამდე) დაახლოებით 1300 ბენეფიციარს. გახსნილია სპორტული წრეები შემდეგი მართულებით: ქართული ჭიდაობა, ძიუდო. "judo kids" (საბავშვო ძიუდო), თავისუფალი ჭიდაობა, კრივი, ტაეკვონდო, კიკბოქსინგი, ფეხბურთი, რაგბი, ფრენბურთი, ბატუტზე ხტომა, მხატვრული ტანვარჯიში, მშვილდოსნობა, მკლავჭიდი, კარატე, ჭადრაკი, ძალისმიერი სამჭიდი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 18 ადმინისტრაციული ერთეულიდან მინიმუმ ერთი სპორტული ჯგუფი ფუნქციონირებს 12 ერთეულში. სპორტული სკოლა საქმიანობის ფარგლებში პრიორიტეტს ანიჭებს იმ სპორტის სახეობების გაფართოვებას, რომლებიც უკეთესად უზრუნველყოფენ გოგნებისა და ბიჭების შედარებით თანაბარ ჩართულობას. სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს მშვილდოსნობის ჯგუფი პარამშვილდოსნებისთვის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე მწვრთნელის მონაწილეობით. სპორტსკოლა არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორცაა სკოლაში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით ქალაქის, ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება. სკოლის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსება.</p> <p>სარაკო კლუბ-მარნეულის "არმაზის" ხელშეწყობა, რაგბის პოპულარიზაცია და სარაკო საბავშვო სექციების განვითარება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში.</p>		
<p>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ნაწილის ტერიტორიაზე, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;</p>		

ა.ბ) სპორტული ღონისძიებები

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02			1164.0

მიზანი 10: შემცირებული უთანასწორობა



გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდების სპორტით დაინტერესება. სპორტის სახეობების დამატება. ქვეპროგრამაში 1050,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია მარნეულის მუნიციპალიტეტის დაფუძნებული 100%-იანი წილის ფლობით შ.პს. „ალგეთი არენას“ დაფინანსებისათვის.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სპორტის პოპულარიზაცია, მასობრივი სპორტი განვითარება

ა.გ) სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02			1211.9
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში ახალი სპორტული ობიექტების მოწყობა და სამუშაოებზე ზედამხედველობის განხორციელება	
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		მოწყობილია სპორტული ინფრასტრუქტურა	

ბ) კულტურის სფეროს განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	კულტურის სფეროს განვითარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02			3752.3
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე	
პროგრამის აღწერა		მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურის სფეროს დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის სფეროს ობიექტების რეაბილიტაცია და რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება; კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გადრმავეების ხელშეწყობა; განათლების დონის ინტელექტისა და კულტურის ამაღლება; კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია; შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება.	

ბ.ა) კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა

კოდი	ქვეპროგრამის	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
------	--------------	----------------------------------



05 02 01	დასახელება	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2801,3
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის</p> <p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p> <p>მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე</p>	
	ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>განხორციელებდა სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა. დეკლარაციის მოქალაქეთა განვლილი გზის განზოგადება და დაფასება (იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ა.შ.). ქართული კულტურის პოპულარიზაცია და მარნეულის როგორც ამ კულტურის ტრადიციის მატარებელი ქალაქის გაცნობა ქვეყნის გარეთ და რეგიონში. ქალაქში არსებული დიასპორების უშუალო ჩართულობა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინირება და დახმარების გაწევა, სახელოვნებო დარგების განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია. სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების, სხვადასხვა მიმართულების შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა. ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა: სამუსიკო, ქორეოგრაფიული, ფოლკლორის, ხატვა-ფერწერა, კლასიკური მუსიკა, თეატრი, თანამედროვე ქორეოგრაფია, ფოტოხელოვნების, ვოკალურ ინსტრუმენტალური წრეების, ლიტერატურული კლუბების, ახალგაზრდა ადგილობრივი ნიჭიერი მწერლების, შემოქმედების პოპულარიზაციისთვის პირობების შექმნა, ეროვნული ტრადიციების წეს-ჩვეულებების ფიქსაცია პოპულარიზაცია. მოზარდი თაობის დემოკრატიული საზოგადოების ჭეშმარიტ მოქალაქეებად აღზრდის და ჩამოყალიბების ხელშეწყობა, კულტურული და სოციალური თვითშეგნების, ესთეტიკური განვითარების სრულყოფა. 2020 წლიდან ფუნქციონირებს რაიონში თეატრალური დასი, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების კეთილდღეობაში მისი როლის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ხელსაყრელი გარემოს შექმნა კულტურული ცხოვრების, მისი ახლებური გააზრების, შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებისა და კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებისთვის. საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდა თეატრის მიმართ და თეატრალური ხელოვნების განვითარების, პოპულარიზაციის ხელშეწყობა.</p>	
	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კულტურის ცენტრი ფუნქციონირებს გამართულად, უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებითი წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა	

ბ.ბ) კულტურის სფეროს ღონისძიებები

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურის სფეროს ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 02			531.0
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 10: შემცირებული უთანასწორობა</p> <p>მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე</p>	
	ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოში არსებული და მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელ კულტურულ (ნოვრუზ ბაირამი) ღონისძიებების სრულფასოვნად ჩატარებას (სასაჩუქრე კალათების, თაიგულების, გვირგვინების, დეკორაციების შეკვეთა - შესყიდვა). კონცერტებისათვის მომღერლების, სცენისა და განათება-განმარჯვების დაქირავებას, მათი მონტაჟი- დემონტაჟი. თეატრალიზებული წარმოდგენებისთვის ფორმების შექმნა ან დაქირავება. საგამოფენო სივრცის მოწყობის მიზნით პროდუქტის შექმნა. მარნეულში ტრადიციად დამკვიდრდა და აღინიშნება ღვინის დღე სახელწოდებით "მარნეული ვაზის აკვანი". ღონისძიების ფარგლებში ტარდება სხვადასხვა საშემოდგომო რიტუალები. კულტურული მემკვიდრეობის, ტურიზმის და საგანმანათლებლო მიმართულების აქტივობები.</p>	
	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ჩატარებულია კულტურული ღონისძიებები და ხელშეწყობილია მოსახლეობის ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში	

ბ.გ) კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა

კოდი		2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
------	--	----------------------------------



05 02 03	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.0
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p> <p>მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე</p>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კულტურის ობიექტების მოვლა შენახვა, რეაბილიტაცია.		
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის ობიექტების შენარჩუნება, ახალი ობიექტების მშენებლობა რათა შენარჩუნდეს და გაიზარდოს კულტურით დაინტერესებული მოსახლეობის ხელმისაწვდომობის დონე.		

ბ.დ) რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 04			420,0
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა, კერძოდ 400,0 ათ.ლარით დაფინანსდება „მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია“, სრულფასოვანი ფუნქციონირების ხელშეწყობისა და ისტორიული ძეგლების მოვლა-შენახვის ხარჯების დასაფარად, ხოლო 20,0 ათ.ლარი განსაზღვრულია რელიგიური დაწესებულებების კომუნალური გადასახადებისათვის. კომუნალური გადასახადების დაფარვა ხდება შემდეგი წესით :1) იმ ეკლესია-მონასტრებისათვის და მეჩეთებისათვის რომელიც ქალაქ მარნეულში მდებარეობს-300 ლარამდე 2) ეკლესია-მონასტრებისათვის და მეჩეთებისათვის რომელიც სოფლად მდებარეობს და არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი -100 ლარამდე 3) ეკლესია-მონასტრებისათვის და მეჩეთებისათვის რომელიც სოფლად მდებარეობს და არის შეყვანილი ბუნებრივი აირი - 50 ლარამდე.</p>		
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა		



გ) ახალგაზრდობის მხარდაჭერა

კოდი	პროგრამის დასახელება	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 03			110,0
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა</p> <p>მიზანი 10: შემცირებული უთანასწორობა</p> <p>მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე</p>	
	პროგრამის აღწერა	<p>დამტკიცებული „ინიციატივების თანადაფინანსებისა და ახალგაზრდული იდეების განხორციელების წესი“ შესაბამისად გამოცხადდება ახალგაზრდული იდეების კონკურსი, ადგილობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების და აქტიური ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი პროექტების დასაფინანსებლად;</p> <p>მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტებისათვის მგზავრობის ხარჯებით დახმარების წესი“ და „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარმატებული სტუდენტების წახალისების წესი“ შესაბამისად, სტუდენტებს წახალისების მიზნით, გადაეცემათ მერის ჯილდო და თვითმმართველობის მიერ მოხდება აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტების ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველყოფა. საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა გზებით და მეთოდებით (არაფორმალური განათლების ლექციები, ბანაკები ლიდერთა სკოლები და ა.შ. ღონისძიებების განხორციელება როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ფორმატში. მერიის მიერ ინიცირებული ახალგაზრდული აქტივობები (ახალგაზრდების კონკურსებში, იმპირებულ აქტივობებში, შემეცნებით ბანაკებში, დასუფთავებისა და გარემოს დაცვითი აქციებში, ტურებში, სემინარებსა და ტრენინგებში, კონფერენციებსა და ფესტივალებში მონაწილეობისათვის.)</p> <p>„ინიციატივების თანადაფინანსებისა და ახალგაზრდული იდეების განხორციელების“ პროგრამა მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალგაზრდა (30 წლამდე) პირების, ახალგაზრდული ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურებს, მათი ინიციატივების მხარდაჭერა მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტებისა და ახალგაზრდებისთვის საჭირო აქტივობებს გამოავლენს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტებისათვის მგზავრობის ხარჯებით დახმარება“ წახალისებას მოახდენს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს მიიღონ უმაღლესი განათლება. მერიის მიერ ინიცირებული ახალგაზრდული აქტივობები (ახალგაზრდების კონკურსებში, იმპირებულ აქტივობებში, შემეცნებით ბანაკებში, დასუფთავებისა და გარემოს დაცვითი აქციებში, ტურებში, სემინარებსა და ტრენინგებში, კონფერენციებსა და ფესტივალებში მონაწილეობისათვის.)) ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდების ინტეგრაციას და განვითარებას სრულყოფილ მოქალაქედ , ახალგაზრდა ლიდერების ჩამოყალიბებას და მათი უნარების განვითარებას. ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის ხელშეწყობას, მათთვის ჯანსაღი გარემოს შექმნას, თანასწორი შესაძლებლობები მინიჭებას, ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას.</p>	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>ხელშეწყობილია ახალგაზრდობის განვითარების მხარდაჭერი და ინსტიტუციონალურად ჩამოყალიბებული სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, არაფორმალური განათლების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და თანაბარ შესაძლებლობებს.</p>	

დ) ტელე-რადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა

კოდი	პროგრამის დასახელება	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 04			221.6
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე</p>	
		<p>პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში</p>	



პროგრამის აღწერა	გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია ტელევიზიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	შექმნილია პირობები ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად

4. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამული კოდი	დასახელება	2025			2026	2027	2028
		სულ	ადგილობრივი	ტრანსფერი	სულ	სულ	სულ
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	527.7	186.3	341.4	313.3	313.3	313.3
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	527.7	186.3	341.4	313.3	313.3	313.3
06 02	სოციალური დაცვა	5313.0	5248.1	64.9	3773.0	3273.0	3273.0
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	3323.7	3323.7	0.0	2500.0	2000.0	2000.0
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1986.4	1924.4	62.0	1270.0	1270.0	1270.0
06 02 03	სარიტუალო მომსახურება	2.9	0.0	2.9	3.0	3.0	3.0
	სულ პრიორიტეტი	5840.7	5434.4	406.3	4086.3	3586.3	3586.3



ა) ჯანმრთელობის დაცვა

კოდი	პროგრამის დასახელება	ჯანმრთელობის დაცვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01			527.7
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია	
	პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა. არსებულ ეტაპზე პროგრამით გათვალისწინებულია კოდი 060101 „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა“ დაფინანსება.	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;	

ა.ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა

